

სადოქტორო პროგრამები  
(ინგლისურენოვანი)

2025

## სარჩევი

ბიზნესის ადმინისტრირება .....	4
კომპიუტერული მეცნიერება .....	14
ამერიკისმცოდნეობა .....	24
განათლების მეცნიერება.....	34

## შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის შესახებ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU) 1995 წლიდან ეწევა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობას. უნივერსიტეტი არის პირველი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც სწავლების სამივე საფეხურზე ახორცილებს პროგრამებს, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენებზე.

უნივერსიტეტში სწავლის მაღალ დონეს ადგილობრივი და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული 200-ზე მეტი პროფესორი უზრუნველყოფს. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სტუდენტებს უამრავ შესაძლებლობას სთავაზობს. კერძოდ: მრავალფეროვან საჯარო ლექციებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებთან დისკუსიებს, ადგილობრივ თუ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობას, იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, ბიბლიოთეკაში 25 000-ზე მეტ წიგნსა და მუდმივად განახლებად ელექტრონულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, 30-ზე მეტი განსხვავებული მიმართულების კლუბებში ჩართვას; სპორტის სხვადასხვა სახეობის ჩემპიონატში მონაწილეობას, სპორტდარბაზში, კალათბურთის მოედანზე, ღია და დახურულ სტადიონებზე ვარჯიშის შესაძლებლობას, ექსკურსიებს, პიკნიკებს, ლაშქრობებსა და სხვა კლასგარეშე აქტივობებს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის 4500-ზე მეტი კურსდამთავრებული უკვე ფლობს უნივერსიტეტის მიერ გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომს. IBSU-ს სტუდენტები აქტიურად სარგებლობენ გაცვლითი პროგრამებით. უნივერსიტეტს 24 ქვეყნის სასწავლო დაწესებულებასთან 70 მემორანდუმი აქვს გაფორმებული. IBSU ჩართულია Erasmus+-ისა და DAAD-ის პროექტებში.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, 2 საფოსტო ინდექსი: 0131

+995 32 2595006 [contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

საკონტაქტო ინფორმაცია იხილეთ ბმულზე შესაბამისი პროგრამის განყოფილებაში <https://ibsu.edu.ge/ge/masters/>

## ბიზნესის ადმინისტრირება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	ბიზნესის ადმინისტრირება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	53 კრედიტი
სწავლების ენა:	ინგლისური
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	<p>საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, მოცემულ პროგრამაზე სწავლის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული დიპლომი. გარდა იმ პირისა, რომელსაც მაგისტრის აკადემიური ხარისხი უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 23 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს, გავლის საფუძველზე მიენიჭა. პროგრამის მოთხოვნაა ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის მიმართულებით. თუ კანდიდატი ფლობს უცხოური მაგისტრის დიპლომს ან მის ეკვივალენტს, რომელიც სათანადოდ არის აღიარებული შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობით, კანდიდატის დიპლომის/მიღებული კრედიტების ნამდვილობა უნდა დადასტურდეს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.</p> <p>სადოქტორო პროგრამაზე მიღების კრიტერიუმებს, ასევე დოქტორანტობის კანდიდატის შერჩევის პროცესის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია უნივერსიტეტის „სადოქტორო სწავლებისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება“ დაყრდნობით.</p>

პროგრამის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს სხვა მისაღებ კრიტერიუმებს, რაც გათვალისწინებულია უნივერსიტეტის რეგლამენტის მიხედვით:

- ფლობს ინგლისური ენის B2 დონეს. განმცხადებელი, რომელიც ფლობს საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრული შესაბამისი უცხოური ენის დონის საერთაშორისო. სერტიფიკატს, თავისუფლდება უცხოური ენის გამოცდის ჩაბარებისგან. პროგრამის. ენის დონის დადგენის მიზნით ჩატარებული გამოცდის დონე განისაზღვრება. „ენობრივი კომპეტენციის დონით“. უცხოური ენის გამოცდის ჩაბარებისაგან თავისუფლდება განმცხადებელი თუ მას დამთავრებული აქვს უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელმაც უცხო ენაში გამოუმუშავა პროგრამაზე დაშვების წინაპირობით განსაზღვრული დონე.
- კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ 5-გვერდიანი კვლევის გეგმა, რომლის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან შეფასდება შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისიის მიერ, რომელიც შედგება მინიმუმ სამი პირისგან (დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრი პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით)
- კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.
- ტარდება გასაუბრება კვლევითი გეგმის თაობაზე.

პროგრამა ასევე საშუალებას იძლევა განხორციელდეს მობილობა ერთი საგანმანათლებლო ინსტიტუციიდან მეორეში „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადაყვანის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების საფუძველზე.

კვლევითი გეგმის შეფასების კრიტერიუმებია:

	არ არის ასახული	უარყოფილია	მისაღებია, არსებითი ცვლილებებით	მისაღებია, მცირე ცვლილებებით	დაშვებულია

	<p><b>სათაური:</b> არც ძალიან მოკლე, არც ძალიან გრძელი; ადეკვატურად გამოყენებული ტერმინები; სათაური/თემატიკა აქტუალურია</p>	0	1-3	4-6	7-9	10-12
	<p><b>მნიშვნელობა და სიახლე:</b> თემა აქტუალურია, ნაკლებად შესწავლილი; შეიცავს სიახლისა და ღირებულების პოტენციალს</p>	0	1-3	4-6	7-9	10-12
	<p><b>თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:</b> მოცემულია, თუ როგორ შეიძლება კვლევამ გავლენა მოახდინოს დარგზე</p>	0	1-3	4-6	7-9	10-12
	<p><b>ლიტერატურის მიმოხილვა:</b> წარმოდგენილია ძირითადი კვლევები და</p>	0	1-3	4-6	7-9	10-12

<p>მიღწევები მოცემულ პრობლემაზე; წყაროები მოიცავს მინიმუმ 10 მნიშვნელოვან შრომას</p>					
<p><b>საკვლევი კითხვები/ჰიპოთეზა</b> არის ორიგინალური და კარგად ჩამოყალიბებული</p>	0	1-3	4-6	7-9	10-12
<p><b>კვლევის მეთოდები</b> არის თემის ადეკვატური და კარგად განსაზღვრული</p>	0	1-3	4-6	7-9	10-12
<p><b>აკადემიური და გასაგები ენა</b></p>	0	1-3	4-6	7-9	10-12
<p><b>ინტერვიუ/ზეპირი წარდგენა*::</b> ავლენს თემის კარგ ცოდნას, შეუძლია დაასაბუთოს კვლევის გეგმის ყველა საკითხი</p>	0	1-4	5-8	9-12	13-16

	ჯამი:		100	
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::	<p>გასაუბრებაზე დაიშვება კანდიდატი, რომელიც წინა პუნქტებში დააგროვებს მინიმუმ 51 ქულას; კანდიდატს, რომელმაც დააგროვა 41-50 ქულა, შეუძლია ხელახლა გამოაგზავნოს გაუმჯობესებული ვერსია შესაბამის ვადებში.</p> <p>** დაიშვება კანდიდატი, რომელიც ზეპირი გასაუბრებიდან მინიმუმ 9 ქულას დააგროვებს</p> <p>პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს შემდეგი უნარები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. გაანალიზონ და ჩამოაყალიბონ შესაბამისი საკვლევი კითხვები, რომლებიც მიზნად ისახავს შესაბამის სფეროებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას; შეიმუშავონ და განახორციელონ კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგიები პრაქტიკაში, რაც მათ საშუალებას მისცემს გააუმჯობესონ ცოდნა თავიანთ სფეროებში.</li> <li>2. გამოიყენონ თანამედროვე ბიზნესის ადმინისტრირების თეორიები სხვადასხვა ბიზნეს პრობლემების გასაგებად და გადასაჭრელად, რეკომენდაციების შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მისაღებად.</li> <li>3. გამოავლინონ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, რათა აქტიურად მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, ნაყოფიერად ითანამშრომლონ საერთაშორისო კვლევით ჯგუფებში და გამოაქვეყნონ სტატიები ინდექსირებულ ჟურნალებში.</li> </ol>			
სწავლის შედეგები	ცოდნა და გაცნობიერება	<ol style="list-style-type: none"> <li>1. ავლენს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მიმდინარე უახლესი მოვლენების შესახებ ღრმა და სისტემურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას;</li> <li>2. აყალიბებს მოსაზრებას ბიზნესის სფეროს თანამედროვე ტენდენციების, შესახებ, რაც საშუალებას აძლევს კრიტიკულად შეაფასოს და დამოუკიდებლად იმუშაოს საკვლევ ლიტერატურაზე, სახელმძღვანელოებზე, მონოგრაფიებზე, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებზე;</li> <li>3. იაზრებს კრიტიკულ თეორიებს, მეთოდოლოგიას და ცოდნას ფუნდამენტური საკითხების გადასაჭრელად და შეიმუშავებს ახალ მეთოდოლოგიებსა და ცოდნას.</li> </ol>		
	უნარები	<p>აანალიზებს და აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით და იღებს გადაწყვეტილებებს აკადემიურ და საქმიან ცხოვრებაში პრობლემების გადაჭრის მიზნით.</p> <p>5. შეიმუშავებს საკუთარ საკვლევ კითხვებს, მოდელებსა და მეთოდოლოგიას და ახდენს შედეგების ინტერპრეტირებას არსებულ პრობლემებზე მსჯელობის მიზნით.</p>		



		<p>6. ატარებს და ზედამხედველობს სხვა სტუდენტების კვლევებს, აჩვენებს პროფესიულ უნარებს და ცოდნას იმ დონეზე, რაც საჭიროა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეებზე სწავლებისთვის და სტუდენტის სწავლის შეფასებისთვის.</p>
	<p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p>	<p>თანამშრომლობს შესაბამის პირებთან აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიონალიზმის ფარგლებში;</p> <p>8. შესაბამის თემაზე გამოთქვამს საკუთარ შეხედულებებს ბიზნეს საზოგადოებაში, სამეცნიერო თუ პროფესიულ დებატებში დამოუკიდებულად მონაწილეობს და წარადგენს საკუთარი ნაშრომს;</p> <p>9. იცავს ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს კვლევის ჩატარებისა და განხორციელებისას;</p>
<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:</p> <p>შეფასების მიზანია სტუდენტის სწავლის შედეგების ხარისხობრივად განსაზღვრა აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>მოსწავლის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომლის ჯამია 100 ქულა.</p> <p>შეფასების სისტემა:</p> <p>დადებითი შეფასების ხუთი ტიპი:</p> <p>A) (A) ფრიადი - 91-100 ქულა;</p> <p>b) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;</p> <p>c) (C) კარგი – 71-80 ქულა;</p> <p>d) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;</p> <p>E) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.</p> <p>უარყოფითი შეფასების ორი ტიპი:</p>	

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 51%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულების განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტი მიაღწევს სილაბუსით დადგენილ სასწავლო შედეგებს შემდეგი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და საბოლოო შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან არანაკლებ 51 ქულის მოპოვების შემთხვევაში.

სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება, თუ მან დააგროვა 41 - 50 ქულა მაქსიმუმ 100 ქულიდან (საბოლოო შეფასებაში) ან არანაკლებ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა საბოლოო შეფასებისთვის განსაზღვრული კომპეტენციის მინიმალური ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კომპონენტის სილაბუსით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების დაცვით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

	<p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p> <p>ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლებას.</p>
<p><b>დასაქმების სფერო</b></p>	<p>დოქტორის ხარისხი, როგორც წესი, აუცილებელია აკადემიური კარიერისთვის ან/და სამთავრობო უწყებებში დასაქმებისათვის.</p> <p>უფრო დეტალურად, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის დასაქმების სფეროება:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>● უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ თანამდებობებზე სასწავლო პროცესის წარმატებული განვითარების უზრუნველსაყოფად;</li> <li>● სამეცნიერო დაწესებულებები (კერძოდ: ისეთ საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც კვლევითი ინსტიტუტები ბიზნეს გარემოში);</li> <li>● საჯარო და კერძო ბიზნეს კომპანიები;</li> <li>● როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს ექსპერტები.</li> <li>● სახელმწიფო უწყებები;</li> </ul>

#	კურსი / მოდული / სტაჟირება / კვლევითი კომპონენტი	სტატუ სი	კრედიტის ნომერი	კრედიტების განაწილება კურსების და სემესტრების მიხედვით										საათების განაწილება	საათების საერთო რაოდენობა		
				I წელი		II წელი		III წელი		საკონტაქტო საათები				დამ ოუკ იდებ ელი მუშა ობა			
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	ლექცია	სემინარი / ჯგუფური მუშაობა /	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა			საკონტაქტო საათების საერთო რაოდენობა	
I	სავალდებულო/არჩევითი კურსები ( სასწავლო კომპონენტი)			43 კრედიტი													
1	უმალესი განათლების პედაგოგია ბიზნესისა და ტექნოლოგიებისთვის	სავალდებულო	5	<input checked="" type="checkbox"/>							8	20	2	2	32	93	125
2	მულტიფუნქციური მონაცემთა ანალიზი	სავალდებულო	10	<input checked="" type="checkbox"/>							11	31	2	2	46	204	250
3	კვლევის მეთოდოლოგია	სავალდებულო	8	<input checked="" type="checkbox"/>							14	14	2	2	32	168	200
4	გამოყენებითი ეკონომეტრიკა	სავალდებულო	5		<input checked="" type="checkbox"/>						11	17	2	2	32	93	125

5	სადოქტორო სემინარი	სავალდებულო	10		<input checked="" type="checkbox"/>					-	14	2	2	32	218	250
6	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	5		<input checked="" type="checkbox"/>					32	-	-	-	32	93	125
II	არჩევითი კურსები		10 კრედიტი													
2	ორგანიზაციული თეორია	არჩევითი	10		<input checked="" type="checkbox"/>					13	15	2	2	32	218	250
3	მომხმარებელთა ქცევის თეორია	არჩევითი	10		<input checked="" type="checkbox"/>					14	14	2	2	32	218	250
4	უმადლესი დონის კორპორატიული ფინანსები	არჩევითი	10		<input checked="" type="checkbox"/>					12	16	2	2	32	218	250
II I	კვლევითი კომპონენტი – სადოქტორო დისერტაცია	სავალდებულო				<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>							
ჯამი			53	23	30											

## კომპიუტერული მეცნიერება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	კომპიუტერული მეცნიერება												
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი /Doctor of Computer Science												
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	60 კრედიტი												
სწავლების ენა:	ინგლისური												
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	<p>საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი კომპიუტერულ მეცნიერებაში ან მონათესავე დარგში. სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა იბსუ-ში. ასევე საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატმა უნდა წარადგინოს საკვლევი თემის პროექტი მისი სამომავლო კვლევის სფეროში, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ქვემოთ მოცემული რუბრიკის მიხედვით ადასტურებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისია და გაიაროს ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია ამავე კომისიის წინაშე. საკვლევი თემის და პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები:</p> <table border="1" style="width: 100%; border-collapse: collapse; margin-top: 10px;"> <thead> <tr> <th style="width: 30%; text-align: center;">შეფასების კრიტერიუმები</th> <th style="width: 10%; text-align: center;">არ შეესაბამება</th> <th style="width: 10%; text-align: center;">არადამაკმაყოფილებელი</th> <th style="width: 10%; text-align: center;">დამაკმაყოფილებელი (არსებითი)</th> <th style="width: 10%; text-align: center;">დამაკმაყოფილებელი (უმნიშვნელო)</th> <th style="width: 10%; text-align: center;">დამაკმაყოფილებელი /</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td></td> <td style="text-align: center;">0</td> <td style="text-align: center;">1-3</td> <td style="text-align: center;">4-6</td> <td style="text-align: center;">7-9</td> <td style="text-align: center;">10-12</td> </tr> </tbody> </table>	შეფასების კრიტერიუმები	არ შეესაბამება	არადამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი (არსებითი)	დამაკმაყოფილებელი (უმნიშვნელო)	დამაკმაყოფილებელი /		0	1-3	4-6	7-9	10-12
შეფასების კრიტერიუმები	არ შეესაბამება	არადამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი (არსებითი)	დამაკმაყოფილებელი (უმნიშვნელო)	დამაკმაყოფილებელი /								
	0	1-3	4-6	7-9	10-12								

		<p>სათაური: არც ზედმეტად კონკრეტული და არც ზედმეტად ზოგადი; ტერმინები ადეკვატურადაა გამოყენებული; ჟღერს თანამედროვედ.</p>						
		<p>აქტუალობა და სიახლე; თემა თანამედროვეა, ნაკლებად შესწავლილი; სიახლისა და აქტუალობის პოტენციალი წარმოდგენილია</p>						
		<p>თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: წარმოდგენილია თუ რა გავლენა ექნება კვლევას დარგზე</p>						
		<p>ლიტერატურის მიმოხილვა: წარმოდგენილია ძირითადი</p>						

		მიღწევები მოცემულ პრობლემაზე; ლიტერატურის სია მოიცავს სულ ცოტა 10 მნიშვნელოვან დასახელებას						
		საკვლევი კითხვები / ჰიპოთეზა არის ორიგინალური და კარგად ჩამოყალიბებული						
		კვლევის მეთოდები შეესაბამება თემას და კარგად არის განსაზღვრული						
		ენობრივი კომპეტენცია						
		პუნქტობრივი ჯამური შეფასება						
		საბოლოო შეფასება						
<p>მოთხოვნები შემდეგი ეტაპისათვის:          კანდიდატი, რომელიც მიიღებს სულ ცოტა 51 ქულას (84 ქულიდან) წინა კრიტერიუმების მიხედვით,          დაიშვება ინტერვიუზე/ზეპირ პრეზენტაციაზე;</p>								



	<table border="1" data-bbox="1045 293 1797 712"> <tr> <td data-bbox="1045 293 1310 526">ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია: კანდიდატი ახდენს თემის ღრმა ცოდნის დემონსტრირებას, შეუძლია დაასაბუთოს კვლევის გეგმის ნებისმიერი საკითხი</td> <td data-bbox="1310 293 1383 526">არ შეესაბამება</td> <td data-bbox="1383 293 1484 526">არადაცმაყოფილი</td> <td data-bbox="1484 293 1600 526">დამაკმაყოფილებელი (არსებითი)</td> <td data-bbox="1600 293 1715 526">დამაკმაყოფილებელი (უმნიშვნელო)</td> <td data-bbox="1715 293 1797 526">ცუდი / დამაკმაყოფილებელი</td> </tr> <tr> <td></td> <td data-bbox="1310 526 1383 594">0</td> <td data-bbox="1383 526 1484 594">1-4</td> <td data-bbox="1484 526 1600 594">5-8</td> <td data-bbox="1600 526 1715 594">9-12</td> <td data-bbox="1715 526 1797 594">13-16</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </table> <p data-bbox="800 797 2047 873">კანდიდატი, რომელიც ინტერვიუში/ზეპირ პრეზენტაციაში მოაგროვებს სულ ცოტა 9 ქულას, შეიძლება მიღებულ იქნას პროგრამაზე.</p>	ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია: კანდიდატი ახდენს თემის ღრმა ცოდნის დემონსტრირებას, შეუძლია დაასაბუთოს კვლევის გეგმის ნებისმიერი საკითხი	არ შეესაბამება	არადაცმაყოფილი	დამაკმაყოფილებელი (არსებითი)	დამაკმაყოფილებელი (უმნიშვნელო)	ცუდი / დამაკმაყოფილებელი		0	1-4	5-8	9-12	13-16						
ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია: კანდიდატი ახდენს თემის ღრმა ცოდნის დემონსტრირებას, შეუძლია დაასაბუთოს კვლევის გეგმის ნებისმიერი საკითხი	არ შეესაბამება	არადაცმაყოფილი	დამაკმაყოფილებელი (არსებითი)	დამაკმაყოფილებელი (უმნიშვნელო)	ცუდი / დამაკმაყოფილებელი														
	0	1-4	5-8	9-12	13-16														
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::	<p data-bbox="800 881 1583 911">კომპიუტერულ მეცნიერებაში სადოქტორო პროგრამის მიზანია</p> <p data-bbox="800 919 2047 1192">(1) კომპიუტერული მეცნიერების დარგში აკადემიური და სამეცნიერო კარიერისთვის მაღალკვალიფიციური კადრის მომზადება. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს კომპიუტერული მეცნიერებების სამი მიმართულება: თეორიული კომპიუტერული მეცნიერება, სისტემების დიზაინი და უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი. სადოქტორო პროგრამა შექმნილია ისე, რომ გაითვალისწინოს ცალკეული სტუდენტის ინტერესი, რაც ნიშნავს დოქტორანტურაში სწავლისას სტუდენტმა გამორჩეული და მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს სულ მცირე ერთი მიმართულების შესწავლასა და განვითარებაში.</p> <p data-bbox="800 1200 2047 1278">(2) კომპიუტერული მეცნიერებების დარგში დოქტორანტის ინდუსტრიისთვის მომზადება; რაც ნიშნავს, დოქტორანტს განუვითაროს ინდუსტრიიდან მომავალი კომპლექსური პრობლემების</p>																		

	<p>ფორმულირების, ანალიზის და მათი გადაჭრის უნარი; ასევე, კომპიუტერული სისტემების მეშვეობით, ინდუსტრიული პრობლემების მოდელირებისა და რეალიზაციის უნარები.</p> <p>(3) დოქტორანტს გამოუმუშაოს ბაზარზე წარმატებული კარიერისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, გახადოს ის ინტერდისციპლინარული სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის გზების მოძებნაზე ორიენტირებული, გაუმჯობესოს ხედვა აკადემიური, სამეცნიერო და ინდუსტრიული სამუშაოსადმი პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობის გააზრებაში.</p>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კრიტიკული გააზრების საფუძველზე სისტემურად განიხილავს კომპიუტერული მეცნიერების დარგს;</li> <li>2. აღწერს კომპიუტერული მეცნიერების ქვედარგებში (თეორიული კომპიუტერული მეცნიერება, სისტემების დიზაინი და უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი) მიმდინარე კვლევებსა და გამოწვევებს;</li> <li>3. კრიტიკულად აფასებს რთული სამეცნიერო კვლევითი პრობლემის გადაჭრის და გაუმჯობესების დაგეგმვის გზებს;</li> <li>4. ამზადებს საპროექტო წინადადებებს, მიღებული სამეცნიერო შედეგების მიხედვით პუბლიკაციასა და მოხსენებას;</li> <li>5. კომპიუტერული სისტემების გამოყენების და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის გზით ახდენს რეალური სამყაროს პრობლემების მოდელირებას;</li> <li>6. წარმართავს სამეცნიერო კვლევებს, სამეცნიერო ნაშრომებისა და დისერტაციების რეცენზირების პროცესს და წარმოადგენს მიღებული სამეცნიერო პროდუქტის ამსახველ სტატიას რეფერირებად მაღალრეიტინგულ ჟურნალში და კონფერენციის მასალებში.</li> <li>7. გეგმავს სალექციო პროცესს, საბაკალავრო და სამაგისტრო კვლევებს კომპიუტერული მეცნიერების სხვადასხვა დარგში.</li> <li>8. ანალიზებს კვლევის, რეცენზირების, ტექნოლოგიების შექმნის და გამოყენების პოტენციურ ეთიკურ და სოციალურ შედეგებს.</li> <li>9. აჯამებს კომპიუტერული მეცნიერების დარგის ექსპერტების მიღწევებს, დარგის სპეციალისტის თვალთახედვით.</li> </ol>

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა**

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას

ა) (A) ფრიადი – 91 - 100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – 81 - 90 ქულა;

გ) (C) კარგი – 71 - 80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61 - 70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – 51 - 60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება მთლიანობაში, ერთიანად, დასკვნითი შეფასების სახით. აღნიშნული მოიცავს განმავითარებელი შეფასების ეტაპს (ექსპერტების შეფასება და წინა დაცვაზე წარდგენა) და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.

დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს განმავითარებელი შეფასების ეტაპის გავლა და დაცვის კომისიის მიერ მინიჭებული ქულების საშუალო, არანაკლებ 51 ქულისა.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;

	<p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p> <p>ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლებას.</p>
დასაქმების სფერო	<p>კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა მოამზადებს საერთაშორისო დონის შესაბამის კონკურენტუნარიან სპეციალისტებს. კურსდამთავრებულის მიერ შეძენილი ცოდნა და უნარები, მას საშუალებას მისცემს უპასუხოს თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებთან დაკავშირებულ გამოწვევებს. კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო სტრუქტურებში, წამყვანი სპეციალისტის პოზიციაზე, სადაც პრაქტიკულად განახორციელებს ძირითად პროფესიულ ფუნქციებს როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფში მუშაობის დროს. კერძოდ, კურსდამთავრებული შეძლებს დაიკავოს მკვლევარის პოზიცია სამეცნიერო განყოფილებაში, აკადემიური პოზიცია სასწავლო დაწესებულებაში და წამყვანი სპეციალისტის პოზიცია ინდუსტრიაში საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით.</p>

#	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	კრედიტების რა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით				საათების განაწილება			
				I ს.წ.	II ს.წ.	III ს.წ.	IV ს.წ.	საკონტაქტო	მ/შ	ჯ	ა

			ენობა	I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	ლექცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/პრაქტიკული სამუშაო	შუალედური გამოცდ(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა	სულ საკონტაქტო		
1	უმაღლესი განათლების პედაგოგიკა ტექნოლოგიებსა და ბიზნესში	სავალდებულო	5	5								8	20	2	2	32	93	125
2	კვლევის მეთოდოლოგია	სავალდებულო	10	10								15	13	2	2	32	218	250
3	დოქტორანტურის სემინარი I	სავალდებულო	5	5								0	14	0	2	16	109	125
4	დოქტორანტურის სემინარი II	სავალდებულო	5		5							0	14	0	2	16	109	125
5	პროფესორის ასისტირება	სავალდებულო	5		5							0	30	0	2	32	93	125
6	სადოქტორო ნაშრომი	სავალდებულო				√	√	√	√				112			112	2888	3000
7	კიბერ-ფიზიკური სისტემები	არჩევითი	10	10								28	14	2	2	46	204	250
8	ვეივლეტების თეორია	არჩევითი	10	10								28	14	2	2	46	204	250
9	გამოთვლითი აზროვნება მოდელირებისა და სიმულაციისთვის	არჩევითი	10	10								14	28	2	2	46	204	250

10	ავტომატური მტკიცებები	არჩევითი	10	10								28	14	2	2	46	204	250
11	ნივთების ინტერნეტი (IoT)	არჩევითი	10	10								28	14	2	2	46	204	250
12	წვდომის კონტროლის მოდელები	არჩევითი	10		10							14	14	2	2	32	218	250
13	ბლოკჩეინი და კიბერუსაფრთხოება	არჩევითი	10		10							14	14	2	2	32	218	250
14	დისკრეტული ოპტიმიზაციის ალგორითმები	არჩევითი	10		10							14	14	2	2	32	218	250
15	გადაწერის თეორია	არჩევითი	10		10							14	14	2	2	32	218	250
16	სახეთა ამოცნობის აპლიკაციები	არჩევითი	10		10							14	14	2	2	32	218	250
<b>სულ*</b>			60	30	30													

## ამერიკისმცოდნეობა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	ამერიკისმცოდნეობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ამერიკისმცოდნეობის დოქტორი (Doctor of American Studies)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	53 კრედიტი
სწავლების ენა:	ინგლისური
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	<p>საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი გარდა იმ პირისა, რომელსაც მაგისტრის აკადემიური ხარისხი უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის 23 პუნქტით გათვალისწინებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს, გავლის საფუძველზე მიენიჭა." კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას C1 დონეზე, რომელიც დადასტურებულია ერთ-ერთი საერთაშორისო სერტიფიკატით ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით. კანდიდატს შეუძლია ჩააბაროს შესაბამისი დონის გამოცდა შპს-ში.</p> <p>კანდიდატს, მოეთხოვება შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება.</p> <p>საუნივერსიტეტო წესის მიხედვით, სადოქტორო პროგრამაზე სწავლის კანდიდატებმა უნდა წარადგინონ კვლევის გეგმა, რომლის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობას ქვემოთ მოტანილი რუბრიკის მიხედვით ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელი და დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისიიდან გაიაროს ინტერვიუ / ზეპირი პრეზენტაცია ამავე კომისიის წინაშე.</p> <p>თუ სერტიფიკატი/გამოცდით არ დასტურდება ინგლისური ენის ცოდნის C1 დონე, მაგრამ კანდიდატის ინგლისური ენის ცოდნის დონე შეიძლება შეფასდეს როგორც უფრო მაღალი ვიდრე B2</p>



დონე და კანდიდატი ამჟღავნებს ინგლისური ენის ცოდნის მაღალ დონეს კვლევის გეგმის განხილვისას, რომლის მოთხოვნებთან შესაბამისობას ადასტურებს დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს სულ ცოტა 3 წევრისგან შედგენილი კომისია, როგორც გამონაკლისი, კანდიდატს შეიძლება მიეცეს უფლება კომისიის წინაშე გაიაროს ზეპირი ინტერვიუ ინგლისურ ენაში და დადებითი შეფასების შემთხვევაში დაშვებული იქნას პროგრამაზე.

**კვლევის გეგმის შეფასების კრიტერიუმები:**

შეფასების კრიტერიუმები /	არ	არადაბნეული	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი
	არ	არადაბნეული	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი	დამაკმაყოფილებელი
	0	1-3	4-6	7-9	10-12
სათაური: არც ზედმეტად კონკრეტული და არც ზედმეტად ზოგადი; ტერმინები ადეკვატურადაა გამოყენებული; ჟღერს თანამედროვედ	0	1-3	4-6	7-9	10-12
აქტუალობა და სიახლე: თემა თანამედროვეა, ნაკლებად	0	1-3	4-6	7-9	10-12

	შესწავლილი; სიახლისა და აქტუალობის პოტენციალი წარმოდგენილია						
	თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: წარმოდგენილია თუ რა გავლენა ექნება კვლევას დარგზე	0	1-3	4-6	7-9	10-12	
	ლიტერატურის მიმოხილვა: წარდგენილია ძირითადი მიღწევები მოცემულ პრობლემაზე; ლიტერატურის სია მოიცავს სულ ცოტა 10 მნიშვნელოვან დასახელებას	0	1-3	4-6	7-9	10-12	

	საკვლევი კითხვები / ჰიპოთეზა არის ორიგინალური და კარგად ჩამოყალიბებული	0	1-3	4-6	7-9	10-12
	კვლევის მეთოდები შეესაბამება თემას და კარგად არის განსაზღვრული	0	1-3	4-6	7-9	10-12
	ენობრივი კომპეტენცია	0	1-3	4-6	7-9	10-12
	პუნქტობრივი ჯამური შეფასება					
	საბოლოო შეფასება:	<b>84</b>				
	კანდიდატი, რომელიც მიიღებს სულ ცოტა 51 ქულას (84-დან) წინა კრიტერიუმების მიხედვით, დაიშვება ინტერვიუზე; კანდიდატს, რომელიც მოაგროვებს 41-50 ქულას, შეუძლია ხელახლა შემოიტანოს გეგმა საბუტების ჩაბარების მითითებულ ვადებში.					
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი::	1930 წელს პირველად შექმნილმა და 60/70-იან წლებში უმაღლეს საფეხურზე აყვანილმა მულტიდისციპლინურმა და ინტერდისციპლინურმა ამერიკისმცოდნეობის უნიკალურმა პროგრამამ ჩაუყარა საფუძველი ინტერდისციპლინური სისტემის დანერგვას, რაც ხელს უწყობს დოქტორანტებში დიდი დიაპაზონის ანალიზის და კვლევის უნარების განვითარებას, რეალიზებულს სხვადასხვა დისციპლინების ბარიერის გადალახვაში, რის შედეგადაც იქმნება უმაღლესი ხარისხის სამეცნიერო კვლევები ისეთი დისციპლინების დაკავშირებით როგორებიცაა:					

ქალთა კვლევები და მედიცინა, ისტორია, პოლიტიკა და თავდაცვა და ა.შ., მეტადრე, რომ სხვადასხვა სფეროებში მუშაობის შედეგად მოპოვებული საკვლევი მასალის შედარება ამერიკის შესაბამის სფეროებში წარმოებულ კვლევებთან, იძლევა უნიკალური კვლევის შედეგს.

პროგრამა შეუქმნის სტუდენტს ყველა პირობას სამეცნიერო აკადემიური და კარიერული წინსვლისათვის ისეთ ორგანიზაციებში, როგორებიცაა: უნივერსიტეტები, საელჩოები, საგარეო საქმეთა სამინისტრო, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისები, სახელმწიფო ადმინისტრაციული აპარატი, კულტურის დეპარტამენტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პარლამენტი, მუზეუმები, არქივი, სადაც დანერგავენ მეცნიერულად დაფუძნებულ სიახლეებს.

პროგრამა პასუხობს ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნებს: 1. დოქტორანტები არიან აშშ-დან და ევროპიდან; 2. 2010 წლიდან ამერიკელი პროფესორები ინიშნებიან დოქტორანტების ოპონენტებად; 3. 2017 წლიდან დოქტორანტებს ენიშნებათ დამატებით ამერიკელი თანახელმძღვანელები.

**პროგრამის მიზანია:**

1 გამოუმუშავოს სტუდენტს ისეთი უნარები, რაც საშუალებას მისცემს მას შეისწავლოს და გაანალიზოს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოება, რისი უნიკალურობაც მდგომარეობს იმაში, რომ მისი კულტურა არ არის საზღვრებში მოქცეული, განზოგადოებული ცხოვრების სტილის და ტრადიციების მქონე ერთი კულტურა, არამედ შედგება მულტიკულტურული, განსხვავებული კულტურის მქონე ეთნიკური ჯგუფებისგან

2. აღჭურვოს სტუდენტი ისეთი სისტემური ცოდნით და უნარებით, რაც საშუალებას მისცემს მას ღრმად გაანალიზოს და გამოიკვლიოს ამერიკული საზოგადოების სხვადასხვა ასპექტი: ეთნოსის დინამიკის, ემიგრაციის, პოლიტიკის, ლიტერატურის, ისტორიის, განათლების, ქალთა საკითხების, სოციალური, თუ ფსიქოლოგიური გამოწვევების, თავდაცვის თემები, რაც მთელ მსოფლიოს და რათქმუნდა საქართველოს აინტერესებს ზესახელმწიფოსთან მიმართებაში.

	<p>3. მაქსიმალურად განავითაროს სტუდენტის კრიტიკული აზროვნების უნარი ინტერდისციპლინურ სფეროებში; განუვითაროს სოციალურ, ეთიკურ და მორალურ ფასეულობათა პატივისცემა; კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღების უნარები, პასუხისმგებლობა და მეცნიერული თვითგანათლების უნარი.</p>	
<p>სწავლის შედეგები</p>	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	
	<p><b>უნარი</b></p>	
	<p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p>	
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.</p> <p>სასწავლო კომპონენტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;</li> <li>ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;</li> <li>გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;</li> <li>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;</li> <li>ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.</li> </ul> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> </ul>	

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო სასწავლო კომპონენტის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

	<p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p> <p>ზემოთ მოყვანილი „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი, „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლება, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წადგენის უფლებას.</p>
<p><b>დასაქმების სფერო</b></p>	<p>სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა იმუშაოს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ლექტორად უმაღლეს სასწავლებლებში; სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში,</li> <li>• საჯარო სამსახურში: საგარეო საქმეთა სამინისტროში საგარეო ურთერთობების კომიტეტებში, ნატოს დეპარტამენტში,</li> <li>• ამერიკის საელჩოში, ამერიკულ და სხვა უცხოურ ორგანიზაციებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში.</li> </ul>

#	კურსის კოდი	სასწავლო კურსი / მოდული/ პრაქტიკა / კვლევითი კომპონენტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით						საათების განაწილება						
						I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		საკონტაქტო				დამოუკიდებელი	ჯამური საათები	
						I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	ლექცია/კონსულტაცია	სემინარი/ჯგუფური მუშაობა/ პრაქტიკული	შუალედური გამოცდ(ა/ები)	დასკვნითი გამოცდა			სულ საკონტაქტო
I	სპეციალობის სავალდებულო კომპონენტი				43 კრედიტი													
1	AMS703	უმაღლესი განათლების პედაგოგიკა	სავალდებულო	არ გააჩნია	5	5						8	20	2	2	32	93	125
2	AMS702	კვლევის მეთოდების უმაღლესი საფეხური	სავალდებულო	არ გააჩნია	8	8						14	14	2	2	32	168	200
3	AMS701	XX საუკუნის ამერიკის პოლიტიკის ისტორია	სავალდებულო	არ გააჩნია	10	10						15	13	2	2	32	218	250
4	AMS704	ამერიკული ეთნოსი	სავალდებულო	არ გააჩნია	10		10					15	13	2	2	32	218	250



5	AMS70 8	სემინარი ამერიკისმცო დნეობაში	სავალდე ბულო	არ გააჩნია	10		10					5		2	2	9	241	250
II	<b>სპეციალობის არჩევითი სასწავლო კომპონენტი</b>				<b>10 კრედიტი</b>													
6	AMS70 5	XX საუკუნის ამერიკული ლიტერატუ რა	არჩევით ი	არ გააჩნია			10					15	13	2	2	32	218	250
7	AMS70 6	პროფესორის ასისტირება	არჩევით ი	არ გააჩნია	10		10											250
8	AMS71 3	ამერიკული ლიდერობის მენეჯმენტი	არჩევით ი	არ გააჩნია			10					15	13	2	2	32	218	250
III	DIS700	<b>კვლევითი კომპონენტი - სადოქტორო ნაშრომი</b>	<b>სავალდე ბულო</b>	<b>ყველა სავალდე ბულო/სასწა ვლო კომპონენტ ი</b>														
				<b>სულ</b>	<b>53</b>	<b>23</b>	<b>30</b>											

## განათლების მეცნიერება

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:	განათლების მეცნიერება
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	განათლების მეცნიერების დოქტორი/ Doctor of Education Sciences
პროგრამის მოცულობა კრედიტებით:	55 კრედიტი
სწავლების ენა:	ინგლისური
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:	<p>საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ამ პროგრამაზე სწავლის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი, გარდა იმ პირისა, რომელსაც მაგისტრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების საფუძველზე, რომელიც მოიცავს საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 46-ე მუხლის 23-ე პუნქტით გათვალისწინებულ არანაკლებ 60 კრედიტს.</p> <p><b>წინარე განათლება</b>          პროგრამაზე ჩაბარების წინაპირობაა ბაკალავრის ან მაგისტრის აკადემიური ხარისხი განათლებაში, ფსიქოლოგიაში, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში, სამართალში და ბიზნესში. კანდიდატს შესაძლოა დასრულებული ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი 60 კრედიტიანი პროგრამა.</p> <p><b>სამუშაო გამოცდილება</b>          კანდიდატს (განათლების ან ფსიქოლოგიის განათლებით) უნდა ჰქონდეს განათლების სფეროში მუშაობისა ან/და სწავლების მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილება.          კანდიდატს (ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, სამართლის და ბიზნესის განათლებით) უნდა ჰქონდეს განათლების სფეროში მუშაობისა ან/და სწავლების მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.</p> <p><b>სამეცნიერო/კვლევითი გამოცდილება</b></p>

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს განათლების დარგში გამოქვეყნებული ერთი სტატია რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში ან საკონფერენციო მასალებში. სტატია უნდა იყოს ინგლისურენოვანი.

#### **ენობრივი მოთხოვნები**

კანდიდატი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას C1 დონეზე საერთო ევროპული ჩარჩოს მიხედვით, რომელიც უნდა დასტურდებოდეს საერთაშორისო სერთიფიკატით (FCE (A grade), CAE, IELTS-7.0, TOEFL iBT-95, CERTUS, ა.შ. )- ბოლო 3 წელი (ეხება მხოლოდ ვადიან სერთიფიკატებს) ან ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამაზე სწავლით (ბოლო 5 წელი).

#### **კვლევის გეგმა**

კანდიდატმა უნდა წარადგინოს კვლევის გეგმის მონახაზი, რომლის მიზანია კანდიდატის კვლევითი პოტენციალის შეფასება. წერილობით წარმოდგენილ კვლევის გეგმას აფასებს შესაბამისი დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი მიმღები კომისია. მიმღები კომისია შედგება დარგობრივი სადისერტაციო საბჭოს არანაკლებ 3 (სამი) წევრის პროგრამის ხელმძღვანელის ჩათვლით.

#### **სათაური და შესავალი (8 ქულა)**

1.1. სათაურის სიცხადე (4 ქულა)-

სუსტი (1): სათაური ბუნდოვანი ან შეუსაბამოა; დამაკმაყოფილებელი (2): სათაური ნაწილობრივ ასახავს კვლევის ფოკუსს; კარგი (3): სათაური ნათლად ასახავს კვლევის ფოკუსს; საუკეთესო (4): სათაური ზუსტი, დამაჯერებელი და სრულად შეესაბამება კვლევას.

1.2. პრობლემის განაცხადი (4 ქულა)- სუსტი (1): პრობლემა ბუნდოვანია; დამაკმაყოფილებელი (2): პრობლემა დასახელებულია, მაგრამ აკლია სიცხადე; კარგი (3): პრობლემა ნათელი და მნიშვნელოვანია; საუკეთესო (4): პრობლემა უაღრესად კარგად არის განსაზღვრული და მეტად მნიშვნელოვანია;

#### **2. კვლევის მიზნები და ამოცანები (12 ქულა)**

2.1. მთავარი მიზნის სიცხადე (4 ქულა)- სუსტი (1): მიზნები ბუნდოვანი ან არარეალისტურია; დამაკმაყოფილებელი (2): მიზნები მეტ-ნაკლებად ნათელია, მაგრამ საჭიროებს დახვეწას; კარგი (3):

მიზნები ნათელი და მიღწევადია; საუკეთესო (4): მიზნები განსაკუთრებით ნათელი, რელევანტური და მიღწევადია.

2.2. კონკრეტული ამოცანები (4 ქულა)- სუსტი (1): ამოცანები ბუნდოვანი ან შეუსაბამო; დამაკმაყოფილებელი (2): ამოცანები ნაწილობრივ შეესაბამება მიზნებს; კარგი (3): ამოცანები კარგად შეესაბამება მიზნებს; საუკეთესო (4): ამოცანები სრულად შეესაბამება მიზნებს და არის SMART

2.3. კვლევითი კითხვები (4 ქულა)- სუსტი (1): კითხვები ცუდად არის ფორმულირებული; დამაკმაყოფილებელი (2): კითხვები საჭიროებს დახვეწას; კარგი (3): კითხვები კარგად არის ფორმულირებული; საუკეთესო (4): კითხვები საუკეთესოდ და სრულყოფილად არის ფორმულირებული

### **3. კვლევის მნიშვნელოვნება (12 ქულა)**

3.1. თეორიული მნიშვნელობა (4 ქულა)- სუსტი (1): არ არის ნათელი წვლილი; დამაკმაყოფილებელი (2): შეზღუდული წვლილი; კარგი (3): ნათელი წვლილი; საუკეთესო (4): გამორჩეული წვლილი

3.2. პრაქტიკული მნიშვნელობა (4 ქულა)- სუსტი (1): არ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა; დამაკმაყოფილებელი (2): შეზღუდული პრაქტიკული მნიშვნელობა; კარგი (3): ნათელი პრაქტიკული მნიშვნელობა; საუკეთესო (4): მაღალი პრაქტიკული მნიშვნელობა

3.3. ინოვაციურობა (4 ქულა)- სუსტი (1): არ არის ორიგინალური ელემენტები; დამაკმაყოფილებელი (2): ზოგიერთი ორიგინალური ელემენტი; კარგი (3): ნათელი ორიგინალურობა; საუკეთესო (4): მეტად ინოვაციური

### **4. ლიტერატურის მიმოხილვა (12 ქულა)**

4.1. ლიტერატურის დამუშავება (4 ქულა)- სუსტი (1): არასაკმარისი; დამაკმაყოფილებელი (2): ნაწილობრივი; კარგი (3): კარგი; საუკეთესო (4): ყოვლისმომცველი

4.2. აქტუალობა (4 ქულა)- სუსტი (1): მოძველებული წყაროები; დამაკმაყოფილებელი (2): შერეული თანამედროვე და მოძველებული; კარგი (3): ძირითადად თანამედროვე წყაროები; საუკეთესო (4): საუკეთესო წყაროების აქტუალობა

4.3. კრიტიკული ანალიზი (4 ქულა)- სუსტი (1): არ არის კრიტიკული ანალიზი; დამაკმაყოფილებელი (2): შეზღუდული ანალიზი; კარგი (3): კარგი ანალიზი; საუკეთესო (4): საუკეთესო კრიტიკული ანალიზი

### **5. კვლევის მეთოდოლოგია (12 ქულა)**

5.1. კვლევის დიზაინი (4 ქულა)- სუსტი (1): შეუსაბამო დიზაინი; დამაკმაყოფილებელი (2): დიზაინი საჭიროებს დახვეწას; კარგი (3): შესაბამისი დიზაინი; საუკეთესო (4): საუკეთესო დიზაინის არჩევანი

5.2. მონაცემთა შეგროვება (4 ქულა)- სუსტი (1): მეთოდები ბუნდოვანია; დამაკმაყოფილებელი (2): მეთოდები ნაწილობრივ ნათელია; კარგი (3): ნათელი მეთოდები; საუკეთესო (4): საუკეთესო მეთოდოლოგია

5.3. მონაცემთა ანალიზი (4 ქულა)- სუსტი (1): ანალიზის გეგმა ბუნდოვანია; დამაკმაყოფილებელი (2): ანალიზის გეგმა საჭიროებს დახვეწას; კარგი (3): ნათელი ანალიზის გეგმა; საუკეთესო (4): საუკეთესო ანალიზის გეგმა

### **6. სტრუქტურა და პრეზენტაცია (8 ქულა)**

6.1. ორგანიზება (4 ქულა)- სუსტი (1): ნაწერს აკლია მკაფიო ორგანიზაციული სტრუქტურა, არ აჩვენებს იდეებს შორის ლოგიკურ პროგრესიას და ვერ ამყარებს მნიშვნელოვან კავშირებს სექციებს შორის.

დამაკმაყოფილებელი (2): ნაწერი წარმოადგენს ძირითად ორგანიზაციულ ჩარჩოს იდეებს შორის გადასვლის მცდელობით, თუმცა სექციებს შორის კავშირები არათანმიმდევრულია.

კარგი (3): ნაწერი ინარჩუნებს მკაფიო ორგანიზაციულ სტრუქტურას იდეების ლოგიკური პროგრესით და ამყარებს ეფექტურ კავშირებს სექციებს შორის.

საუკეთესო (4): ნაწერი ავლენს დახვეწილ ორგანიზაციულ სტრუქტურას იდეების უწყვეტი პროგრესით და ქმნის დამაჯერებელ კავშირებს, რომლებიც აძლიერებს საერთო თანმიმდევრულობას.

6.2. წერის ხარისხი (4 ქულა)- სუსტი (1): ნაწერი ავლენს აკადემიური ლექსიკის შეზღუდულ გამოყენებას, შეიცავს ბევრ მექანიკურ შეცდომას და მოკლებულია სამეცნიერო ტონს.

დამაკმაყოფილებელი (2): ნაწერში მეტნაკლებად ვლინდება აკადემიური ენა და სამეცნიერო დისკურსის განვითარება;

კარგი (3): ნაწერი ინარჩუნებს თანმიმდევრულ აკადემიურ ტონს შესაბამისი დარგობრივი ლექსიკით, ავლენს სამეცნიერო დისკურსის განვითარების უნარს.

საუკეთესო (4): ნაწერი წარმოაჩენს დახვეწილ აკადემიურ ენას ზუსტი დარგობრივი ტერმინოლოგიით, ინარჩუნებს გამორჩეულ სამეცნიერო დისკურსს მთელი ნაშრომის განმავლობაში. კანდიდატებმა უნდა მიიღონ მინიმუმ 33 ქულა 64 ქულიდან წერით კვლევით გეგმაში, რათა დაიშვან გასაუბრებაზე.

**გასაუბრება**

გასაუბრების შეფასებას ატარებს დისერტაციის დარგობრივი საბჭო (მინიმუმ 3 წევრი).

გასაუბრების შეფასების რუბრიკა (6 ქულა სულ)

**კვლევის თემის ცოდნა (2 ქულა)**

სუსტი (0): აჩვენებს მინიმალურ გაგებას კვლევის თემისა და შესაბამისი ლიტერატურის დამაკმაყოფილებელი (1): ავლენს ძირითად გაგებას, მაგრამ აქვს ხარვეზები ცოდნაში  
საუკეთესო (2): აჩვენებს ყოვლისმომცველ გაგებას და შეუძლია თავისუფლად განიხილოს შესაბამისი

**კვლევა**

კვლევის გეგმის დაცვის უნარი (2 ქულა)

სუსტი (0): ვერ ხსნის ან ასაბუთებს კვლევით გადაწყვეტილებებს; თავდაცვითი ან გაურკვეველია კითხვების დროს

დამაკმაყოფილებელი (1): შეუძლია კვლევის ზოგიერთი ასპექტის ახსნა, მაგრამ უჭირს ღრმა დასაბუთება

საუკეთესო (2): თავდაჯერებულად ხსნის და ასაბუთებს კვლევის ყველა ასპექტს კარგად დასაბუთებული არგუმენტებით

კომუნიკაცია და პროფესიული ქცევა (2 ქულა)

სუსტი (0): ცუდი კომუნიკაციის უნარები, არაპროფესიული მანერა, ან ვერ ახერხებს აკადემიურ

**დისკუსიაში ჩართვას**

დამაკმაყოფილებელი (1): ადეკვატური კომუნიკაცია, მაგრამ შეიძლება იყოს უფრო დახვეწილი ან პროფესიონალური

საუკეთესო (2): საუკეთესო კომუნიკაციის უნარები, პროფესიული ქცევა და მიმზიდველი აკადემიური დისკურსი

	<p>მინიმალური გამსვლელი ქულა: 4 ქულა. საბოლოო მიღების გადაწყვეტილება ეფუძნება როგორც კვლევის გეგმას (მინიმუმ 33/64 ქულა), ისე გასაუბრებას (მინიმუმ 4/6 ქულა).</p>
<p><b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:</b></p>	<p>განათლების მეცნიერების სადოქტორო პროგრამის მიზანია მოამზადოს განათლების სფეროს სპეციალისტები და მკვლევარები, რომლებიც ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე არსებული თანამედროვე განათლების მოთხოვნებისა და გამოწვევების საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დამოუკიდებლად ჩაატარებენ სიღრმისეულ და აქტიურ კვლევებს, შეიმუშავებენ და გამოიყენებენ დასაბუთებულ ინოვაციებს, შექმნიან ახალ, კვლევაზე დაფუძნებულ ცოდნას, დაწერენ სამეცნიერო სტატიებს ინგლისურ ენაზე და ეფექტურად წარადგენენ კვლევით მიგნებებს როგორც წერილობითი პუბლიკაციების, ისე აკადემიურ კონფერენციებზე ზეპირი პრეზენტაციების საშუალებით და გაუზიარებენ მათ აკადემიურ და სამეცნიერო საზოგადოებას და პრაქტიკოსებს და ხელს შეუწყობენ დემოკრატიული ღირებულებების მქონე საზოგადოების ფორმირებას;</li> <li>• გააერთიანებენ სხვადასხვა დისციპლინების ცოდნას, გამოიყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და დაიცავენ მაღალ ეთიკურ სტანდარტებს რთული საგანმანათლებლო გამოწვევების გადასაჭრელად;</li> <li>• განივითარებენ ლიდერობის უნარებს საგანმანათლებლო პროექტების სამართავად, ჩაერთვებიან უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში და ჩამოაყალიბებენ გლობალურ ხედვას საგანმანათლებლო საკითხებზე, რათა გააუმჯობესონ საგანმანათლებლო პრაქტიკა თავიანთ კარიერაში;</li> <li>• მიიღებენ პრაქტიკულ სასწავლო გამოცდილებას უმაღლეს საგანმანათლებლო გარემოში, რაც გააუმჯობესებს მათ უნარს ეფექტურად გადასცენ რთული საგანმანათლებლო კონცეფციები და მეთოდოლოგიები;</li> <li>• აქტიურად მონაწილეობენ კოლეგიალური შეფასების პროცესებში, რაც ხელს შეუწყობს დარგში ცოდნის წინსვლას და განავითარებს კრიტიკული შეფასების უნარებს, რომლებიც აუცილებელია აკადემიური საზოგადოებისთვის;</li> </ul>



	<ul style="list-style-type: none"> <li>• განვიტარებენ პირადი მართვის უნარებს, მათ შორის სტრესის მართვის ტექნიკებს, რათა შეინარჩუნონ კეთილდღეობა და პროდუქტიულობა მაღალი მოთხოვნების აკადემიურ და კვლევით გარემოში;</li> <li>• განვიტარებენ უნარს დააბალანსონ კვლევითი, სასწავლო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები, ამავდროულად შეინარჩუნონ მუდმივი სწავლისა და პროფესიული ზრდის ვალდებულება.</li> </ul>	
სწავლის შედეგები	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება:</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სისტემურად და კრიტიკულად აღწერს თეორიებს, პრინციპებსა და პრაქტიკებს განათლების მეცნიერებების სფეროში, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს საშუალებას გააფართოონ ეს ცოდნა და გამოიყენონ ინოვაციური მეთოდოლოგიები;</li> <li>2. იაზრებს განათლების კვლევის მეთოდოლოგიებს, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს საშუალებას დაწერონ სამეცნიერო სტატიები რეცენზირებად ჟურნალებში და განახორციელონ კვლევითი პროექტები.</li> </ol>
	<p><b>უნარები:</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>3. სიღრმისეულად გეგმავს და ახორციელებს კვლევით საქმიანობას განათლების მეცნიერებების სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, რათა წვლილი შეიტანოს განათლების თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში აღიარებულ საგანმანათლებლო ჟურნალებში რეცენზირებული სტატიების გამოქვეყნებით და საგანმანათლებლო კვლევების დაფინანსებისთვის საგრანტო განაცხადების შემუშავებით;</li> <li>4. იყენებს სტატისტიკის კომპლექსურ მეთოდებსა და შესაბამის რაოდენობრივ და თვისებრივი ანალიზის ტექნიკას განათლების კომპლექსური მონაცემების გასაანალიზებლად, რაც ვლინდება ანალიტიკური ინსტრუმენტების პროფესიულად გამოყენებაში, პუბლიკაციებსა და კვლევით პროექტებში;</li> </ol>



		<p>5. სიღრმისეულად ანვითარებს და ახორციელებს სწავლებისა და სწავლის ინოვაციურ სტრატეგიებს, იყენებს უახლეს საგანმანათლებლო ტექნოლოგიებს რეალურ საგანმანათლებლო გარემოში და ნერგავს ინოვაციურ შეფასების მიდგომებს;</p> <p>6. კრიტიკულად აფასებს და ახდენს განათლების ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და დიდაქტიკის სფეროში არსებული კვლევების სინთეზს სპეციალიზაციის სფეროში ლიტერატურის სიღრმისეული მიმოხილვისა და ინტერდისციპლინური პერსპექტივების ინტეგრირების გზით კვლევით გეგმებსა და პუბლიკაციებში;</p> <p>7. ავლენს პროექტის მართვის ეფექტურ უნარებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებით, წარმატებით გეგმავს და ახორციელებს კვლევით პროექტებს დადგენილ ვადებში, იყენებს დროისა და სტრესის მართვის ტექნიკებს კვლევაში და სწავლებაში;</p> <p>8. ავლენს პედაგოგიურ კომპეტენციებსა და მენტორობის უნარებს უმაღლესი განათლების სფეროში სტრუქტურირებული სწავლების და სხვადასხვა აკადემიურ კონტექსტში განათლებასთან დაკავშირებული საკითხების გაზიარების გზით.</p> <p>9. ეფექტურად აწვდის კვლევის შედეგებს აკადემიურ და არაკადემიურ საზოგადოებას აკადემიური პრეზენტაციების მეშვეობით;</p>
	<p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</b></p>	<p>10.ერთვება პროფესიული განვითარების აქტივობებში აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, ავლენს ორიგინალობასა და ავტონომიურობას;</p> <p>11.წვლილი შეაქვს სამეცნიერო საზოგადოებაში აკადემიურ თანამშრომლობით აქტივობებში მონაწილეობის, კოლეგიალური</p>

	<p>უკუკავშირისა და კვლევის შეფასების პროცესებში აქტიური მონაწილეობის გზით.</p>
<p><b>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</b></p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;</li> <li>ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;</li> <li>გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;</li> <li>დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;</li> <li>ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.</li> </ul> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</li> <li>ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი</li> </ul> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრი: შუალედური შეფასების 50% და დასკვნითი შეფასების 50%.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p>

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური (50%) და დასკვნითი (50%) შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.

დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში. სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით, დიდი წილი მოდის პროექტების შესრულებაზე. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრი: შუალედური შეფასების 51% და დასკვნითი შეფასების 51%.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) შუალედური (51%) და დასკვნითი (51%) შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;

ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

**სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხდება დაცვისას შემდეგი კრიტერიუმებით:**

**1. აქტუალობა - 10 ქულა**

10 ქულა - კვლევა ეხება დარგში არსებულ კრიტიკულ პრობლემას აღწერს მისი მოგვარების კონკრეტულ შედეგებს. ის ქმნის დარგისთვის მნიშვნელოვან ცოდნას.

8-9 ქულა - კვლევა ეხება დარგში არსებულ მნიშვნელოვან საკითხს და აღწერს შედეგებს. ის შესაძლებელია უწყობს ხელს დარგისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის შექმნას.

5-7 ქულა - კვლევა ეხება რელევანტურ საკითხს დარგში და წარმოადგენს გარკვეულ შედეგებს. ის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს დარგში.

3-4 ქულა - კვლევის მნიშვნელოვნება შეზღუდულია. მისი წვლილი დარგში მინიმალურია.

<2 ქულა - კვლევას აკლია აქტუალობა და არ შეაქვს არანაირი მნიშვნელოვანი წვლილი დარგში.

## **2. კვლევის პრაქტიკული ღირებულება - 10 ქულა**

10 ქულა - კვლევას აქვს პირდაპირი და მნიშვნელოვანი პრაქტიკული გამოყენება. ის სთავაზობს არსებული პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტულ და რეალურ გადაწყვეტილებებს.

8-9 ქულა - კვლევას აქვს ნათელი პრაქტიკული გამოყენება. ის გვთავაზობს ღირებულ შეხედულებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას რეალურ კონტექსტში.

5-7 ქულა - კვლევას აქვს გარკვეული პრაქტიკული გამოყენება. ის გვთავაზობს შეხედულებებს, რომლებიც პოტენციურად შეიძლება გამოყენებულ იქნას რეალურ კონტექსტში.

3-4 ქულა - კვლევის პრაქტიკული გამოყენება შეზღუდულია ან არ არის ნათლად ჩამოყალიბებული.

<2 ქულა - კვლევას არ აქვს გამოკვეთილი პრაქტიკული ღირებულება.

## **3. კვლევის თეორიული ღირებულება - 10 ქულა**

10 ქულა - კვლევა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დარგში თეორიულ გაგებას. ის წარმოადგენს ახალ კონცეფციებს ან მნიშვნელოვნად გადახედავს არსებულ თეორიებს.

8-9 ქულა - კვლევა ნათელ წვლილს შეიტანს დარგის თეორიულ გაგებაში. ის ავითარებს ან აფართოებს არსებულ თეორიებს მნიშვნელოვნად.

5-7 ქულა - კვლევა წვლილს შეიტანს დარგის თეორიულ გაგებაში. ის მხარს უჭერს ან ზომიერად აფართოებს არსებულ თეორიებს.

3-4 ქულა - კვლევის თეორიული წვლილი შეზღუდულია ან არ არის ნათლად ჩამოყალიბებული.

<2 ქულა - კვლევა არ შეიტანს მნიშვნელოვან თეორიულ წვლილს დარგში.

## **4. სიახლე - 10 ქულა**

10 ქულა - კვლევა წარმოადგენს მაღალი ორიგინალობის იდეებს ან მიდგომებს, რომლებიც რევოლუციურია დარგში. 8-9 ქულა - კვლევა წარმოადგენს ორიგინალურ იდეებს ან მიდგომებს, რომლებიც ინოვაციურია დარგში.

5-7 ქულა - კვლევა წარმოადგენს ზოგიერთ ორიგინალურ იდეას ან მიდგომას, თუმცა ისინი შეიძლება არ იყოს სრულიად ახალი დარგისთვის.

3-4 ქულა - კვლევა ძირითადად იმეორებს არსებულ იდეებს ან მიდგომებს მინიმალური სიახლით.

<2 ქულა - კვლევას აკლია ნებისმიერი ორიგინალობა ან სიახლე.

#### **5. ანალიზის სიღრმე და დასკვნების ორიგინალობა - 15 ქულა**

15-14 ქულა - ანალიზი განსაკუთრებით საფუძვლიანი და ღრმაა. დასკვნები მაღალი ორიგინალობისაა და გამოირჩევა კარგი ანალიზით.

11-13 ქულა - ანალიზი ყოვლისმომცველი და გააზრებულია. დასკვნები ორიგინალურია და გამოირჩევა კარგი ანალიზით.

10-12 ქულა - ანალიზი ადეკვატურია. დასკვნები გარკვეულ ორიგინალობას აჩვენებს და ზოგადად ჩანს ანალიზი. 6-9 ქულა - ანალიზს აკლია სიღრმე ზოგიერთ სფეროში. დასკვნები მცირე ორიგინალობას აჩვენებს ან არ არის კარგად გაანალიზებული.

. <5 ქულა - ანალიზი ზედაპირულია. დასკვნებს აკლია ორიგინალობა და აკლია ანალიზი.

#### **6. კვლევის შედეგების დამაჯერებლობა - 15 ქულა**

15-14 ქულა - სტატისტიკური დამუშავება ან ლოგიკური არგუმენტაცია ზუსტია და სრულად უჭერს მხარს შედეგების საიმედოობას.

11-13 ქულა - სტატისტიკური დამუშავება ან ლოგიკური არგუმენტაცია მყარია და მხარს უჭერს შედეგების საიმედოობას.

10-12 ქულა - სტატისტიკური დამუშავება ან ლოგიკური არგუმენტაცია ადეკვატურია და ზოგადად მხარს უჭერს შედეგების საიმედოობას.

6-9 ქულა - სტატისტიკურ დამუშავებას ან ლოგიკურ არგუმენტაციას აქვს გარკვეული ხარვეზები, რაც გავლენას ახდენს შედეგების საიმედოობაზე.

<5 ქულა - სტატისტიკური დამუშავება ან ლოგიკური არგუმენტაცია სერიოზულად ხარვეზიანია, რაც საფრთხეს უქმნის შედეგების საიმედოობას.

#### **7. პრეზენტაცია - 15 ქულა**

15-14 ქულა - პრეზენტაცია განსაკუთრებით კარგად სტრუქტურირებული, ლოგიკურად არგუმენტირებული და ნათლად ჩამოყალიბებულია. დისერტაციის ძირითადი იდეები წარმოდგენილია გამორჩეული სიცხადით. ვიზუალური საშუალებები განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი, მაღალი რელევანტურობისაა და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პრეზენტაციას.

11-13 ქულა - პრეზენტაცია კარგად სტრუქტურირებული, ლოგიკურად არგუმენტირებული და ნათლად ჩამოყალიბებულია. დისერტაციის ძირითადი იდეები წარმოდგენილია კარგი სიცხადით. ვიზუალური საშუალებები კარგად არის წარმოდგენილი, რელევანტურია და აუმჯობესებს პრეზენტაციას.

10-12 ქულა - პრეზენტაცია ადეკვატურად სტრუქტურირებული და არგუმენტირებულია. დისერტაციის ძირითადი იდეები წარმოდგენილია გონივრული სიცხადით. ვიზუალური საშუალებები ადეკვატურია და ზოგადად მხარს უჭერს პრეზენტაციას.

6-9 ქულა - პრეზენტაციას აკლია სტრუქტურა ან ლოგიკური თანმიმდევრობა ზოგიერთ ნაწილში. დისერტაციის ძირითადი იდეები ყოველთვის ნათლად არ არის წარმოდგენილი. ვიზუალური საშუალოზე დაბალი დონით არის წარმოდგენილი ან ყოველთვის რელევანტური არ არის; მცირე ღირებულებას მატებს პრეზენტაციას

<5 ქულა - პრეზენტაცია ცუდად სტრუქტურირებული და არგუმენტირებულია. დისერტაციის ძირითადი იდეები არ არის ნათლად წარმოდგენილი. ვიზუალური საშუალებები არარელევანტური, შემაწუხებელია, ან არ არის გამოყენებული საჭიროებიდან გამომდინარე.

#### **8. კითხვებზე პასუხი დაცვის დროს - 15 ქულა**

15-14 ქულა - პასუხები კითხვებზე ყოვლისმომცველი, ღრმა და აჩვენებს საკითხის სრულ ფლობას. ტერმინოლოგია გამოიყენება განსაკუთრებული სიზუსტით და შესაბამისობით.

11-13 ქულა - პასუხები კითხვებზე საფუძვლიანია და აჩვენებს საკითხის გაგებას. ტერმინოლოგია გამოიყენება ზუსტად და შესაბამისად.

10-12 ქულა - პასუხები კითხვებზე ადეკვატურია და აჩვენებს საკითხის ძირითად გაგებას. ტერმინოლოგია უმეტეს შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება.



6-9 ქულა - პასუხები კითხვებზე ზოგჯერ არასრულია ან აჩვენებს ხარვეზებს გაგებაში. ტერმინოლოგია ყოველთვის შესაბამისად არ გამოიყენება.

<5 ქულა - პასუხები კითხვებზე არაადეკვატურია და აჩვენებს მნიშვნელოვან ხარვეზებს გაგებაში. ტერმინოლოგია არასწორად გამოიყენება.

### **ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკა**

ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პოლიტიკა სადოქტორო პროგრამის კურსებისთვის: პროგრამა აღიარებს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების როლს აკადემიურ კვლევაში მკაცრი აკადემიური სტანდარტების დაცვით. სტუდენტებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები სპეციფიკური დამხმარე ფუნქციებისთვის ( წყაროების მართვა, კორექტირება და საკვლევი კითხვების დახვეწა). ხელოვნური ინტელექტის მეშვეობით პროდუქტიულობის გაზრდა მისაღებია ისეთი დავალებებისთვის, როგორცაა შეხვედრების შეჯამება, პროექტის დაგეგმვა და ადმინისტრაციული დოკუმენტაცია. თუმცა, სტუდენტებმა მკაფიოდ უნდა გაამჟღავნონ ხელოვნური ინტელექტის ყველა ინსტრუმენტის გამოყენება თავიანთ ნაშრომებში, გამოყენებული ინსტრუმენტების მითითებით და მნიშვნელოვანი ხელოვნური ინტელექტის ინტერაქციების დეტალური ჩანაწერების წარმოებით. მკაცრად აკრძალულია: ორიგინალური კვლევის შედეგების გენერირება, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული შინაარსის ორიგინალურ ნაშრომად წარდგენა, ლიტერატურის მიმოხილვის შინაარსის შექმნა დადასტურების გარეშე, თეორიული ჩარჩოების შემუშავება ან კვლევითი კითხვების გენერირება. სტუდენტებმა დამოუკიდებლად უნდა გადაამოწმონ ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ყველა ინფორმაცია და შეინახონ ხელოვნურ ინტელექტთან ინტერაქციის ორიგინალი ასლები. შეფასების მიზნებისთვის, შეფასდება ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების სათანადო გამოყენება, ორიგინალური კრიტიკული აზროვნება, დამოუკიდებელი კვლევის უნარი და ხელოვნური ინტელექტის დახმარების სათანადო დოკუმენტირება. ამ პოლიტიკის დარღვევა ითვლება აკადემიურ გადაცდომად. სტუდენტებს რეკომენდაცია ეძლევათ განიხილონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენება თავიანთ ლექტორებთან და ხელმძღვანელებთან. ყველა წერილობითი დავალება მოწმდება პლაგიატზე (Turnitin პროგრამული უზრუნველყოფა).



**დასაქმების სფერო**

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ სამთავრობო და არასამთავრობო საგანმანათლებლო დაწესებულებებში და იყვნენ მკვლევარები განათლების მეცნიერებებში. ასევე, მათ შეუძლიათ იმუშაონ უმაღლესი განათლების დაწესებულებაში აკადემიურ ან/და ადმინისტრაციულ პერსონალად.

#	კოდი	კურსი / მოდული / სტაჟირება / კვლევის კომპონენტი	სტატუსი	წინაპირობა	კრედიტი	კრედიტების განაწილება		საათების განაწილება						
						I წელი		საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი მუშაობა	საათის რაოდენობა
						I სემესტრი	II სემესტრი	ლექცია	სემინარი,ჯგუფური მუშაობა	ლაბორატორიული სამოშაო	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა		
I		სავალდებულო კურსები			50	22	28	66	122	6	10	204	1046	1250
1	EDU742	სადოქტორო კვლევაში გამოყენებული მეთოდები	სავალდებულო	-	8	8		17	28	0	0	45	155	200
2	EDU758	განათლების ფსიქოლოგიის, ფილოსოფიისა და დიდაქტიკის კვლევა	სავალდებულო	-	7	7		8	20	2	2	32	143	175

3	EDU757	სწავლა-სწავლების ინოვაციები და განათლების ტექნოლოგიები	სავალდებულო (ჰიბრიდული) <sup>1</sup>	-	7	7		12	12	2	6	32	143	175
4	EDU760	სტატისტიკა საგანმანათლებლო კვლევებში	სავალდებულო (ჰიბრიდული)	EDU742	8		8	14	14	0	0	28	172	200
5	EDU754	სემინარი სტატიებისა და დისერტაციის დაწერაში	სავალდებულო	EDU742 EDU758	7		7	0	28	2	2	32	143	175
6	EDU761	საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტების მართვა	სავალდებულო (ჰიბრიდული)	EDU742	7		7	15	13	0	0	28	147	175
	<b>II</b>	<b>პრაქტიკის კომპონენტი</b>				6								
7	EDU756	პროფესორის ასისტირება	სავალდებულო	EDU757	6		6	0	7	0	0	7	143	150
	<b>III</b>	<b>არჩევითი კურსები</b>				5	5	14	14	0	0	28	97	125
1	EDU762	განათლების ლიდერობა, მენეჯმენტი და ადმინისტრირება	არჩევითი	-	5	5		14	14	0	0	28	97	125
2	EDU759	კვლევები განათლების სოციოლოგიაში	არჩევითი	-	5	5		7	21	0	0	28	97	125

<sup>1</sup> ჰიბრიდული სწავლების მოდელი ამოქმედდება მხოლოდ განახლებული აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში (სავარაუდო 2025-2026 აკადემიური წელი)

3	EDU73 3	კურიკულუმის, სილაბუსისა და კურსის შემუშავება	არჩევითი (ჰიბრიდული)	-	5	5		14	14	0	0	28	97	125
4	EDU75 3	განათლების სამართლებრივი რეგულირება	არჩევითი	-	5	5		15	13	2	2	32	93	125
5	EDU75 5	პროფესიული განვითარება და რბილი უნარები განათლების მკვლევარებისთვის	არჩევითი (ჰიბრიდული)	-	5	5		13	15	0	2	30	95	125
6	DIS700	დისერტაცია	კვლევითი კომპონენტი	სასწავლო კომპონენტი	3 სემესტრი <									
	<b>სულ</b>				<b>55</b>	<b>27</b>	<b>28</b>	<b>80</b>	<b>136</b>	<b>6</b>	<b>10</b>	<b>232</b>	<b>1143</b>	<b>1375</b>